



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 367

16/02/2018

ქალაქი ბათუმი

367-05-4-201802161152



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წელს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი 2018 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაკვეთით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. ხელშეკრულების შესრულებაზე შემსყიდველის მხიდან კონტროლი, შესრულებული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ტექნიკურ ზედამხედველობა უნდა განახორციელოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ/ინსპექტირების ჯგუფმა ან/და მერიის თანამშრომელმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებით საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მირიან კვირიტიძის 2018 წლის 14 თებერვლის №487-05 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად **გბრძანებ:**

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თამაზ მურადიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) ზეინაზ კაკაბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ე) ერეკლე აბაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ვ) ანა ბაჟაშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

2. კომისიამ უზრუნველყოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, მიღება-ჩაბარება და ტექნიკური ზედამხედველობა.

3. ბრძანების გაცნობა (მიწოდება) კომისიის წევრებზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა